საქართველოს მთავრობის

დადგენილება №241

2022 წლის 16 მაისი

ქ. თბილისი

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021274) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების 38-ე მუხლის:

1. მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. საერთაშორისო ან/და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ან/და მათზე არსებული საინჟინრო ნაგებობების მშენებლობისას, თუ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების მესაკუთრედ საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება სახელმწიფო, მშენებლობის ნებართვის მფლობელ/მაძიებელ სამინისტროს ან/და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას არ აქვს ვალდებულება, სააგენტოში წარადგინოს მიწის ნაკვეთზე ან/და ნაკვეთებზე სარგებლობის/საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

2. მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. საერთაშორისო ან/და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ან/და მათზე არსებული საინჟინრო ნაგებობების მშენებლობისას, თუ მიწის ნაკვეთი/ნაკვეთები საჯარო რეესტრის ამონაწერში არ არის სახელმწიფო სახელზე დარეგისტრირებული და სანებართვო პირობებში განსაზღვრულია მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა, მშენებლობის ნებართვის მფლობელ სამინისტროს ან/და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას შეუძლია დაიწყოს სათანადო სამშენებლო სამუშაოები იმ მიწის ნაკვეთზე ან ნაკვეთებზე, რომლებზეც სააგენტოში წარადგენს მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების მესაკუთრეებთან გაფორმებულ შეთანხმებას მიწის ნაკვეთზე/ნაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**